ააკ. მეშარცხენე ხოც.-ფედ. ხარეგ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. ნონპარელი
4 „ 200,000 „
საგვლოვიანი განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 524 ოთხშაბათი, ივლისის 18 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ალექსანდრე, ბიქტორ, ილიკო და კონსტანტინე ასათიანები ვაცნობებთ ახლობელთ და მეგობრებთ, რომ ტრაიიკულად გარდაცვალებულის საყვარელი ძმის

## დათიკოს

დასაფლავების დრო დანიშნული გვაქვს ხუთშაბათს ივნისის 19 ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავადმყოფოდან საღამოს 4 საათზე.

1—1

გაზეთ „ტრიბუნის“ კანტორისაგან

ივლისის 15-დან „ტრიბუნა“ ღირება:

ცალკე ნომერი . . 75,000 მ.

## ერთა თანამშრომლობა

ერთა ნორმალური თანამშრომლობა მათ თავისუფალ შეთანხმებისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით არის შესაძლებელი.

ჩვენ, ფედერალისტები, რომლებსაც ერთა ურთიერთობის საუკეთესო ფორმად მიგვაჩნია ერთა თავისუფალი კავშირი, არ შეიძლება აღტაცებით არ ვეგებებოდეთ დღეს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ორგანოების მუშაობის დაწყებას.

ძველი, ბიუროკრატიული ცენტრალიზმის ნაშთებზედ უკვე აღმართულია ფედერალიზმის დროშა.

რუსეთის იმპერიის მიერ დაჩაგრულნი ერნი, დღეს თანასწორი უფლებით სარგებლობენ საერთო ოჯახში და ქმნიან ერთ გაერთიანებულ ფრონტს იმპერიალისტური თავდასხმების წინააღმდეგ.

რუსეთის რევოლიუციის მესვეურები უწინ არ იყვნენ მომხრენი სახელმწიფოთა და ერთა ისეთი ურთიერთობის, როგორიც დღეს სინამდვილემ მიიღო. მრავალი შეცდომა, მრავალი გაუგებრობა იქმნებოდა ნაციონალური საკითხის გარშემო კოალიციონური მთავრობის მიერ. ცარიზმის ცენტრალიზმის ადგილს იჭერდა „დემოკრატიული ცენტრალიზმი“, რომლის დამცველნი გააფთრებით ებრძოდენ ჩაგრულ ერთა სამართლიან მოთხოვნებს. ოქტომბრის რევოლიუციამ გარკვევით წამოაყენა ყველა ერთა თავისუფლების ლოზუნგი. ოქტომბრის შემდეგაც სავსებით ვერ გატარდა ეს ლოზუნგი ცხოვრებაში. ამას ხელს უშლიდა ერთი მხრით ის პოლიტიკური პირობები, რომელშიაც მოემწყვდა რევოლიუციონური მოძრაობა, ხოლო მეორე მხრით ცენტრალისტური ნაშთები ბოლშევიკებისა პოლიტიკაში.

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ჩვენ კომპანიას ვაწარმოებდით, როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციის, ისე კავშირის ზოგიერთი ძირითადი დებულების წინააღმდეგ. ჩვენ ვამბობდით, რომ სანამ დაცული არ იქნება ერთა თანასწორობის პრინციპი, მანამ კავშირს არ ექნება დიდი ავტორიტეტი მშრომელი ხალხის ფართო მასებში, მანამ იგი არ იქნება ერთა ნების ყოფის გამომხატველი.

კომპარტიის მე-1 ყრილობამ გამოასწორა ის დიდი ნაკლი, რომელიც ჰქონდა კავშირის პროექტს.

დღევანდელი ფორმა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობისა არის დიდი გამარჯვება ფედერალისტური იდეის, ჩვენი მსოფლმხედველობის ძირითადი დებულების.

ჩვენ არ გვინდა დავმალოთ, რომ ამ უდიდეს ფედერაციას აქვს ნაკლიც მრავალ ღირსებასთან ერთად, მაგრამ ჩვენ მაინც დიდ პროგრესიულ მოვლენათ ჩავთვლიდით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, მას უფრო მეტი ნაკლიც, რომ ქონდეს.

მსოფლიოს ერთი მეექვსედის ფედერატიული დაკავშირებით ახალი ერა აწყება კაცობრიობის ცხოვრებაში, ამ მოვლენას აქვს არა მარტო დიდი პოლიტიკური და ეკონომიური, არამედ რევოლიუციონური და ეროვნული მნიშვნელობა.

რევოლიუციონური ფრონტის გამაგრება შეუძლებელია კავშირის გარეშე. ერთა აღორძინება შეუძლებელია ერთა ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთობის დაუცველად.

საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური სხეული, შემდგარი სოციალისტური მშენებლობის ნიადაგზე, გამტკიცდება და გამაგრდება ერთა ძმური თანამშრომლობით. იგი მოიკრებს სასიცოცხლო ენერგიას, მოიშუშებს ისტორიის უკულმართი ხელით მიყენებულ იარებს, დაეწაფება მშვიდობიანი ცხოვრების მიმდინარეობას და უზრუნველყოფს თავის ეროვნულ არსებობას კაცობრიობის მთლიან ოჯახში.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ ერთა შორის!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

## ეკონომია

ერთი თვის წინად ასეთ შემთხვევას ჰქონია ადგილი:

„ტფილისიდან ფოსტას მანგლისამდე ავტომობილით აგზავნიან. ერთი ასეთი ავტომობილი 13 ივანობისთვეს გავიდა ტფილისიდან: მანქანას ყოველთვის მიჰყვებოდა ხოლმე კონტროლიორი. ამ ხელათაც იყო ასეთი—ეს იყო ვინმე **ბაბენკო.**

გზაში მიმავალი ავტომობილი ისვენებს ხოლმე. ჩვეულებისამებრ ამ ხელათაც დაისვენეს.

ბატონი ბაბენკო შევიდა იქვე გზისპირა დუქანში და რუსულად მიმართა მოვაჭრე ქალს.

— **У вас что либо найдется пообедать!**

საუბედუროდ თურმე ქალს რუსული არ სცოდნოდა, ავად იყო თუ კარგად, მიხვდა რასაც ეკითხებოდა მუშტარი და ქართულად უპასუხა:

— ბატონო, საჭმელი არაფერი არ გახლავთ.

ბაბენკომ იწყინა ასეთი პასუხი, ისიც ქართულად და გულმოსულმა ხმამაღლა დაუწყო ქალს ყვირილი:

— **Вы пожалуиста со мной говорите по человечески, на понятном языке, а не на собачьем грузинском языке.** ამ ამბავს ერთი თხუთმეტი ადამიანი დაესწრო.

ბაბენკოს უზდელობამ ყველა შეაწუხა, მაგრამ ყველამ თავი შეიკავა და ბაბენკოსათვის არავის არაფერი უკადრებია. ოღონდ ფოსტის მიმღებმა მოხელემ გამოიღო ხმა და მოინდომა, რომ თავხედისათვის ოქმი შეეყენებინათ და საქმისათვის კანონიერი მსვლელობა მიეცათ.

ფოსტის გამგე შეგვპირდა ოქმის შეყენებას, მაგრამ მასუკან აგერ ერთი თვე გადის და არ ვიცით რა შედეგი მოჰყვა ამ საქმეს“.

გაზეთი „მუშა“, საიდანაც ჩვენ ეს ცნობა ამოვიღეთ თავის მხრით უმატებს:

„საუბედუროდ ნიკოლოზ მეორეს დროინდელი „ჩინოვნიკობა“ ბლომად არის ჯერ კიდევ ჩვენ დაწესებულებებში. ისინი მეფის მთავრობის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს ისე უყურებდნენ როგორც სათლელ რამეს, სადაც მათ ჩინები და ფულები უნდა ეშოვათ და „ტუზემცებს“ (ასე უძახოდნენ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებლებს) ისე ექცეოდნენ როგორც პირუტყვს, რომელიც „ყოვლად შემძლე ღმერთს“ და „რუსის ხელმწიფეს“ მათ ყურმოჭრილ ყმათ გაეხადა.

**ეს დრო წავიდა,**

მეფის მთავრობამ თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ ის ძველი დეზებითა და აპელატებით შეკაზმული ჩინოვნიკობა ხელში შეგვრჩა და „**მუნდირის**“ მაგივრათ დღეს უბრალო ბლუზაში გამოწყობილი ძველი გულით და აზრით ემსახურება სახელმწიფოს საქმეს.

რა გასაკვირალია რომ: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდეს“

მაგრამ გასაკვირალი და სავალალო ისაა, რომ ისინი ჯერ კიდევ არიან ჩვენთან, ჩვენ საქმესთან და სწამლავენ ჰაერს.

ჩვენ გვყავს კანონის შესრულებისათვის თვალყურის მდევნებელი პირები და დაწესებულებანი.

აი იმათი საქმეა გამოათრიონ ეს არამზადები ყურით დღეს სინათლეზე.

მოხადონ მათ საკადრისი სასჯელი და შემდეგ გზა მშვიდობისა დაულოცონ.

**სხვა გზა არ არის,** ვინაიდან ჩვენ გწამს და ვისაც არ სწამს უნდა იწამოს, რომ ძველ ჭურჭელში ახალი ღვინის მოკავება არ შეიძლება.

ველით საქართველოს რესპუბლიკის მთავარ პროკურორისაგან განმარტებას და ცნობას იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიიღებს ის ამ შემთხვევაში აღნიშნულ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ“.

ნელ-ნელა მეღავნდება ბოროტი ზრახვები იმ პირებისა, რომელთაც თავი შეაფარეს საბჭოთა დაწესებულებებს. მაგრამ მათ დიდი დღე აღარ დარჩენიათ. გაჯანსაღებული და გაეროვნებული სახელმწიფო და ადმინისტრატიული აპარატი ასეთ მახიჯ ელემენტებს ვეღარ დაიტევს. მათ დარჩენიათ კბილთა ღრჭენანი.

## სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ცენტრალი აღმასკომის მიმართვა

**ყველა ხალხებისა და მთავრობებისადმი.**

(„ზაკროსტას“ ცნობებიდან).

**მოსკოვი.** 15 ივლისი. საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცაკმა გამოუშვა მიმართვა ყველა ერებისა და მთავრობებისადმი საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან კავშირში გაერთიანების გამო. მიმართვა აღნიშნავს, რომ გაერთიანება გამოწვეულია მსოფლიოში რეაქციის გაძლიერებით და იმპერიალისტურ მთავრობების აგრესიულ ზრახვებით, მასთან დაკავშირებულ ახალ თავდასხმათა საშიშროებით და აგრეთვე ომის, ინტერვენციის და ბლოკადისაგან განადგურებულ საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო აღდგენის აუცილებლობით. აღნიშნავს რა კავშირის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის საფუძვლებს, მიმართვა ამბობს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმურ თანამშრომლობის ნიადაგზე შექმნილი საკავშირო სახელმწიფო მიზნად ისახავს ყველა ხალხთა შორის მშვიდობიანობის დაცვას. არის რა ყველა ჩაგრულ ხალხთა ბუნებრივი მოკავშირე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ილტვის ყველა ხალხთა მეგობრულ ურთიერთობისა და ეკონომიურ თანამშრომლობისაკენ. ანხორციელებს რა უდიდეს სივრცეზე ბალტიის, შავი და თეთრი ზღვებიდან დაწყებული მშვიდ ოკეანემდე ხალხთა შორის ძმობას და შრომის სამეფოს, კავშირი ამავე დროს სცდილობს, რათა ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრულ თანამშრომლობას.

**საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცაკის სხდომა.**

**მოსკოვი.** 15 ივლისი. 14 ივლისს გაიმართა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცაკის პირველი სხდომა, რომელზედაც გადასწყდა ეცნობოს ყველა საკავშირო რესპუბლიკებს, რომ საბჭ. სოც. რესპუბლიკების ცაკის პრეზიდიუმი, მეორე სესიის მიერ მინიჭებულ უფლების თანახმად, შეუდგა მუშაობას, როგორც საბჭ. სოც. რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ სრულ. რუსეთის ცაკის და აგრეთვე პრეზიდიუმის ყველა დეკრეტები და დადგენილებანი, რომელნიც, საბჭოთა რუსეთის და მოკავშირე რესპუბლიკების შორის დადებულ ხელშეკრულების თანახმად და აგრეთვე საბჭ. სოც. რესპუბლიკების ცაკის მიერ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმისათვის 1922 წ. დეკემბერში მინიჭებულ უფლებათა ძალით, ძალაში შევიდენ როგორც საკანონმდებლო დადგენილებანი საბჭოთა რუსეთის და აგრეთვე საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რჩებიან ძალაში, როგორც სავალდებულონი საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

საბჭ. სოც რესპუბლიკების კავშირს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შეუდგეს მოქმედებას, კონსტიტუციის თანახმად.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცაკმა დაამტკიცა საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სახ. კომისართა მოადგილეებათ: გარეშე საქმეთა სახ. კომისართა მოადგილეებათ—ამხ. ლიტვინოვი და რაკოვსკი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარის მოადგილეთ—ამხ. სლიანსკი. საგარეო ვაჭრობის სახ. კომ. მოად. ამხ. ფრუმკინი. გზათა სახ. კომისარის მოადგილეებათ—ამხ. სერებრიაკოვი და ბორისოვი, ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისრის მოადგილეთ ამხ. დოვგალევსკი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისრის მოადგილეთ ამხ. ავანესოვი, ფინანსთა სახ. კომისრის მოადგილეთ—ამხ. ვლადიმიროვი, სასურსათო სახ. კომისრის მოადგილეთ—ამხ. ლობაჩევი და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ—ამხ. პიატაკოვი.

**მიიღონ ცნობათ.**

**მოსკოვი.** 16 ივლისი. ამ დღეებში საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა სახ. კომისარი და უკრაინის, ამიერ-კავკასიის და ბელორუსიის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატების რწმუნებულები აცნობებენ სახელმწიფოებს, რომელთანაც ისინი იმყოფებიან დიპლომატიურ ურთი-ერთობაში. საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირში შესვლის შესახებ.

**ამხ. რაკოვსკის დანიშვნის გამო.**

**ხარკოვი.** 14 ივლისი. მიიღო რა მხედველობაში უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს საბჭ. რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესების დაცვას ინგლისში, სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმი დასთანხმდა ამხ. რაკოვსკის დანიშვნაზე საბჭ. ს. რესპ. კავშირის სრულუფლებიან და სავაჭრო წარმომადგენლად ლონდონში და გაანთავისუფლა ის უკრაინის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობისაგან.

## ახალი ამბები

— **სამალარიო ექსპედიციები.** ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გაგზავნილია 4 ექსპედიცია მალარიის საწინააღმდეგოთ ზუგდიდის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში. აგრეთვე სამტრედიის რაიონში, კახეთში და ყარაიაზში. ექსპეტიციების მუშაობა განსაზღვრულია 3 თვით.

— **თვითმშრომელ საურთიერთო დამხმარე საზოგადოების** კულტურულ განმანათლებელმა სექციამ შეადგინა დრამატიული დასი, დასში შედის უმთავრესად მუშა-ხელოსნები, დასთან ეწყობა დრამატიული სტუდია, რომლის ორგანიზატორად სექციამ მოიწვია სპეციალური პირი. დრამატიული დასის სეზონური მუშაობა დაიწყება ხელოსანთა კლუბში. შაბათს დასი დადგამს „ქრისტინეს“. აღნიშნულ საზოგადოებას განზრახვა აქვს გამოსცეს სპეციალური პროფესიონალური ჟურნალი. მზადდება ლიტერატურული გასამართლებანი ა. ყაზბეგის „არსენასი“ „ელეონორასი“ და ნინოშვილის „ქრისტინესი“.

— **ტფ. სახ. უნივერსიტეტის** გამგეობის ცნობით, სახ. უნივერსიტეტში სტუდენტათ ჩასარიცხი დრო განისაზღვრება 10 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

— **რუსეთის უმაღლეს** სასწავლებლებში საქართველოს დაეთმო 300 ადგილი. მომავალ სამოსწავლო წლისთვის საქ. განათლების კომისარიატმა უკვე დაიწყო რუსეთის უმაღ. სასწავლებლებში ცოდნის მიღების მსურველთაგან თხოვნების მიღება.

— **საქონლის მანეთის კურსი.** ა—კ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 17 მაისის დადგენილებისა № 52 საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე, ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატის სამეურნეო ინდექსის მიხედვით ა.—კ. 15 ივლისისათვის განისაზღვროს 27.270,000 მ. ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 2,727,300 მან. ა. | კ. ფულის ნიშნებით. ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე,** საერთო-საორგან. განყ. გამგე **ლ. ჭურდოვანიძე.**

— **ოქროს კაპეიკის კურსი.** ქალ. აღმასკომმა ოქროს კაპეიკის კურსი განსაზღვრა 26,400 მან.

— **უმუშევრები** შრომის ბირჟაში 15 ივლისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 692, ახლად ჩაეწერა—64 სამუშაოზე გაიგზავნა 58.

— **ხაქ. მუზეუმის ფასადის გადაკეთების პროექტი.** საქ. მუზეუმის ფასადის გადაკეთების

პროექტი გამოფენილი იქნება ამავე მუზეუმის ახალ ბინაზე (ალოლოუბნის ქ. № 1). დასათვალიერებლათ 17 და 18 ივლისს.

— **ტყიბულის მაღაროები.** ტყიბულის მაღაროებში მაისის განმავლობაში ამოღებული იქნა 185,105 ფ. ქვა-ნახშირი ივნისში—367,336 ფუთი.

— **პოლიტიკურ ხელმსღვანელთა კურსები.** პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კურსები, რომელიც უნდა გახსნილიყო 15 ივლისს, გაიხსნება 20 ივლ.

# ფურცლები დღიურიდგან

(გაგრძელება)

15 მარტი 1907 წ.

მე ალვიზარდე ისეთ საზოგადოებაში, სადაც ბევრსა ლაპარაკობდნენ „საქართველოზედ“ და „ქართველობაზედ“ და სადაც საქართველოსი და ქართველობისა არა იცოდნენ რა. საქართველო მათ წარმოდგენილი ჰქონდათ იმ შვენიერ კუთხეთ, სადაც მათი ბრწყინვალე საზოგადოება კეთილდღეობდა და სადაც მათთვის გაუთავებელი ლხინი იყო და ქართველობა მათი გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ ლხინის დროს საქართველოს სადღეგრძელოსა ჰსვამდნენ და ქართულ სიმამაცეზედ და ქართულ პურ-მარილზედ ლაპარაკობდნენ... ქართველი ერი, როგორც მშრომელი მასსა, როგორც უმრავლესობა მათ შეგნებაში არ არსებობდა, ისინი სასაცილოდ იგდებდნენ იმ ღარიბ ინტელიგენციას, რომელიც ჩაბმული იყო მშრომელ ხალხში და მას ემსახურებოდა... გლეხ-კაცის კეთილდღეობა მათ მხოლოდ თავიანთ „ნასუფრალის“ წყალობით და „კეთილ ყურადღების“ მინიჭებით ჰქონდათ განსაზღვრული ხალხის თავისუფლება, ხალხის ნება-უფლება, ხალხის სიამაყე—მათთვის არ არსებობდა და „საშინელი სისულელე“ იყო.. მათ თავი მოჰქონდათ თავის „ჯიშით“ და შთამომავლობით და ბევრსა ლაპარაკობდნენ თავის წინაპრებზედ, მათ „წმინდა სისხლზედ და თეთრ ძვლებზედ“. ისინი სრულიად არ იცნობდენ საქართველოს, მის მდიდარ ბუნებას; სრულიათ არ იცოდნენ ქართველი ხალხის ისტორია, მისი ზნე-ჩვეულება ლ მისი მისწრაფებანი. მათ არ იცოდნენ მშობლიური ენა და მშობლიური ლიტერატურა: სამაგიეროდ მათ იცოდნენ რუსული და ფრანგული ენების და „საქართველოზედ“, „სამშობლოზედ“ და „ქართველობაზედ“ ამ ენებზედ ლაპარაკობდნენ... ქართულს ენაზედ ლაპარაკი მათ ეთაკილებოდათ და სამარცხვინოთაც კი მიაჩნდათ: თავის ბავშვებსაც რუსულს ენაზედ ჰზრდიდნენ... ქართულს ენას საზოგადოთ არა სწავლობდნენ: იგი საჭირო არ იყო.

რად იყო ასე? იმიტომ, რომ ამ საზოგადოების „სამშობლო“ და ქართველი ხალხის სამშობლო ერთი არ იყო: იმიტომ, რომ პირველი მეორეს არა ჰსცნობდა, მასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა და მისი ენა მისთვის საჭირო არ იყო! იმიტომ რომ ქართველი ხალხის სამშობლო იყო ღარიბი და „ფეხ-შიშველა და მჭადი-ჭამია“ გლეხების საქართველო ბრწყინვალე საზოგადოებას ვერაფერ წარმატებას ვერ მისცემდა! ქართული ენა იყო ქართველი პროლეტარიატის ენა და ამ ენას არა სცნობდა ძალა-უფლებით აღჭურვილი თვითმპყრობელობა! თვითმპყრობელობის ენა კი რუსული ენა იყო... ერთის მხრით დაჩაგრული და ლატაკი ხალხი, მეორეს მხრით გაბატონებული თვითმპყრობელობა! ერთის მხრით ღარიბი, დავიწყებული ენა „მჭადი-ჭამია“ გლეხებისა, მეორის მხრით მდიდარი რუსული ენა, ენა „მათ უდიდებულესობისა“, ენა ხელმწიფეებისა, მთავარ-მართებლებისა, გუბერნატორებისა, სახელმწიფო ენა, ენა სახელმწიფო დაწესებულებებისა და მთელი იმ მძლავრი აპარატისა, რომელიც მფლობელობს, განაგებს და ბრძანებლობს! მხოლოდ „გიჟს“ და „სულელს“ შეეძლო ქართული ენის შესწავლა და მაზედ დროს კარგვა და ჭკვიანი და განათლებული საზოგადოება, ესრედ წოდებული არისტოკრატია, ქართულს ენას არა სწავლობდა მან იცოდა ყველაფერი გარდა ქართული ენისა!

ის მშვენივრად იცნობდა პარიჟს, ლონდონს, ბერლინს, რომს და სხვა ევრობის დიდ ქალაქებს, ძველი რომის და საბერძნეთის ნანგრევებს და სიძველეებს, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა საქართველოზედ და მის ბრწყინვალე წარსულზე, მის შესანიშნავ სიძველეებზე!..

შემთხვევით, ისიც უცხო ჟურნალ-გაზეთებში თუ ამოიკითხავდა რომელიმე ცნობის მოყვარე უცხოელის ნარკვევს ან ლეგენდას საქართველოს შესახებ... მეც ასე გამოვიზარდე: ჩემდა საუბედუროდ ქართული ენა არ მისწავლია; მშობლიური ენა ოჯახში და საზოგადოებაში არ გამიგია, რადგან მისი შესწავლა და გაგება მხოლოდ ქუჩაში შეიძლებოდა... ბრწყინვალე საზოგადოება მხოლოდ ლაპარაკობდა „სამშობლოზე“—მშობლიურ ენას კი ქუჩის ენად სთვლიდა: „სალონებში და კანცელარიებში“ ის საჭირო არ იყო!..

12 წლისა ვიყავ, როდესაც ვიგრძნე ჩემი სიმახინჯე და დავგმე და დავსწყევლე ის „სამშობლო“, რომელმაც მე საკუთარი ენა ამომგლიჯა! მას აქედ მე მუდამ მტანჯავს ჩემი სიმუნჯე და უენობა... დღესაც მაგონდება ის წუთები, როდესაც მე პირველად ვიგრძნე ჩემი სამახინჯე და დავინახე ის უფერული, რომელიც ჩამოაგდო „საზოგადოებამ“ ჩემსა და ჩემს სამშობლოს შორის. ზაფხული იყო. სოფელში ვიყავ ბებიასთან. ძალიან მალე მე მომწყინდა სახლი, ეზო, ბაღი და მინდორში დავიწყე სიარული. თუმცა მე სასტიკად აკრძალული მქონდა „უზრდელ“ ბიჭებთან რაიმე კავშირის დაჭერა, მაგრამ, ალბად აკრძალულს უფრო მეტი მიმზიდველობა აქვს და მეც მუდამ დღე ვხვდებოდი მეძროხე ბიჭს ზურიას.

ზურია ჩემი ტოლი იყო. მე დავაკვირდი იმას და შევნიშნე, რომ ის ჩემზედ ლონიერი და მოხერხებული იყო, სალამურს მშვენივრად უკრავდა, მღეროდა და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა... მე კი სუსტი ვიყავ და არც სალამურის დაკვრა ვიცოდი, არც სიმღერა, არც ლაპარაკი.. მე რუსული მშვენივრად ვიცოდი და კრილოვის არაკები და პუშკინის ლექსები გაზეპირებული მქონდა, მე ვიცოდი რუსული სიმღერებიც,—მაგრამ იქ, მინდორში, სადაც ლაპარაკობდა ქართული ბუნება და სადაც ქართველი ხალხი მიპირისპირებდა საქართველოს ნამდვილს შვილს ზურიას,—რა იყო ჩემი ცოდნა ან ვის რა შავქვად უნდოდა?! მე აშკარად დავინახე, რომ მე სუსტი და უძლური ვარ, ყველასთვის გაუგებარი და გამოუსადეგი, რომ ნამდვილ სამშობლოსთან მე არაფერი საერთო არა მაქვს და მისთვის საჭირო არა ვარ... მე გული მწყდებოდა, როდესაც ზურია მღეროდა და სალამურს უკრავდა; მე ვგრძნობდი რომ მის სიმღერას უსმენდნენ ცხვრებიც კი, რომელნიც მის გარშემო იკრიფებოდნენ; ჩიტებიც, რომელნიც თავზე დასტრიალებდნენ... და დიდი ბანჯღვლიანი ბოთვერაც კი, რომელიც მის ფეხთ წვებოდა და ფეხებს ულოკავდა... მე კი, ყველასთვის უცხო და გაუგებარი, განზედ ვიდექ და შორიდგან უცქეროდი იმ ცოცხალს მშობლიურს სურათს, რომლისთვისაც მე მხოლოდ ზედმეტს და უსულო საგანს წარმოვადგენდი... ოჰ, რა უბედურია ის, ვინც თავის სამშობლო ენა არ იცოს! მე მივხვდი, რომ მეძროხე ზურია ჩემზედ ბედნიერი იყო და იმ დღიდგან შევიყვარე ნამდვილი სამშობლო და მშობლიური ენა... მე მივხვდი, რომ სულით და გულით ქართველი ვიყავ ლა ჩემი ბუნება ჩემი ნამდვილი სამშობლოს [illegible] — ოო, მაგრამ მე არ შემეძლო ჩემი [illegible] ჩემი აზრების გადაცემა იმ-კილოზედ, — [illegible] ბუნების გამომსახველი და გამომთქმელი იყო... მშობლიური ენა, ქართული ენა, ბუნებრივი მუსიკა, საქართველოს მდიდარი ბუნებისაგან წარმოშობილი, მისი მაღალი მთების, საუცხოვო ტყეების და ჭალების, ლამაზი ველ-მინდვრების, ჩხრიალა ჩანჩქრების და ჩუხჩუხა წყლების გამოძახილი და გამომეტყველი, მშობლიური ენა, ენა ჩემი სამშობლოსი, ენა მშობელი ერისა—ჩემთვის უცხო ენა იყო... მე ქართველმა ქართული ენა არ ვიცოდი.

ყველა ადამიანს აქვს თავის მშობლიური ენა, რომელიც მან აუცილებლად იცის და რომელზედაც მუდამ ლაპარაკობს და მე კი ქართველი ამ ენას მოკლებული ვარ. ეს იყო დრამა ჩემი სულისა, პირადი ჩემი დრამა, და დღეს სიკვდილის წინ ტრაგედიათ გადიქცევა, რადგანაც ყველა იმას რასაცა ვსწერ ვერ გაიგებს ის, ვისთვისაც ვსწერ და ის კი, ვის ენაზედაც ვსწერ ჩემს ნაწერს გაანადგურებს! ვინ იცის? იქნებ დღეს საქართველო თვითმპყრობელობის საზიზღარ პოლიტიკის მსხვერპლად გადაიქცა და ჩემისთანა მახინჯები და უბედურები მრავალი არი?! ვინ იცის? იქნებ ასი-წლის „ცარიზმმა“, რუსულმა „რეტიმმა“ და „რუსიფიკატორულმა“ პოლიტიკამ უკვე სულ მთლად მოსპო ქართული ენა და ქართველი ხალხიც რუსულად აალაპარაკა?! იბრძვიან კიდევ ერისთვის და ეროვნებისთვის, თუ ყველანი, ვინც იბრძოდნენ ციხე-საპყრობილეებში სხედან და ერის ბედ-იღბალს გაბატონებული კლასები და ერები განაგებენ?!....

**გენო ყორჩიბაში.**



**მარკონის ახალი გამოგონება.** ხანგრძლივი მეცნიერული ექსპედიციიდან დაბრუნებისას მარკონიმ გადასცა ლონდონში მის შესახვედრათ შეკრებილ ჟურნალისტებს, რომ მისმა ცდებმა სავსებით მოულოდნელი შედეგები მოიტანეს. მან შესძლო რადიოტელეგრამის უშუალოდ გადაცემა განსაზღვრულ სადგურზე იმგვარათ, რომ მისი დაჭერა სხვა გარეშე სადგურებისაგან შეუძლებელი შეიქნა. ამას გარდა მარკონი ხაზს უსვამს, რომ მან შეამოკლა გადაცემისათვის საჭირო აუცილებელი დრო და ენერგია, და რაც რადიოს მნიშვნელოვანათ გაიაფებს.

**მზის მანქანა.** ბერლინის უნივერსიტეტის პროფესომა ადოლფ მარკუზემ გააკეთა აპარატი, რომლითაც შესაძლებელი იქნება მზის სხივების სითფოს ენერგიის გამოყენება. დაგროვილი სხივები ტარდება პატარა ხვრელით ჯერ თეთრსა და შემდეგ შავ ბურთში; ამ ხვრელში იმყოფება სხივების თერმიუ-

# პასუხის პასუხი

„ფაქტებს თავის თავად არა აქვს არავითარი ფასეულობა. იგი უსარგებლო ნაგავის უბრალო გროვაა“.

**გ. ბოკლი.**

### 1. რევიზორის პორტფელი.

დასრულდა. ჩემს ორ წერილს, დაახლოვებით ერთ ფელეტონს, ამხ. სან-დონმა 13 დიდი ფელეტონით უპასუხა. ცხადია ამ პროპორციას ვერ დავიცავ. ეს მოითხოვდა 169 ფელეტონის დაწერას და ვინ იცის როდის დასრულდებოდა ჩვენი პოლემიკა.

შეგვიძლია ვუსაყვედუროთ ამხ. სან-დონს, რომ ვრცელი ფელეტონები სწერა? სრულიადაც არა. ნაციონალური საკითხი ღირსია არა თუ ვრცელ ფელეტონების, არამედ მთელი ტომებისაც.

მართლა ამხ. სან-დონმა დაახლოვებით ერთი ფელეტონის წინააღმდეგ დასწერა 13 ფელეტონი (მარქსის „კაპიტალი„ რომ გაერჩია ამ პროპორციის თანახმად იგი დასწერდა 39 ტომს), მაგრამ თუ საკითხი არსებითად ამოსწურა, თუ რამდენი მეტი ილაპარაკა იმდენი მეტი სიბრძნე სთქვა, ამის საწინააღმდეგო არაფერი შეიძლება გვქონდეს. ამიტომ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ფელეტონების შინაარს.

რით ამოავსო ამხ. სან-დონმა 13 ფელეტონი? ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი, სადაც მოყვანილია თუ რამდენჯერ გაიმეორა მან ერთი და იგივე ციტატა:

| ციტატები | განმეორებათა რიცხვი |
|---|---|
| 1. 1891 წ. ენგელის წერილებიდან ბებელისადმი | 2 ჯერ. |
| 2. 1882 წ. ენგელსის წერილებიდან. | 2 „ |
| 3. „კომ. მანიფესტის“ პოლონურ გამოც. წინასიტყვაობიდან | 3 „ |
| 4. „კომ. მანიფესტის“ ქარ. გამოც. გვ. 65. | 4 „ |
| 5. „კომ. მანიფესტის“ იტალიურ გამოც. წინასიტყვაობიდან | 5 „ |
| 6. „კომ. მანიფესტიდან“ გვ. 86. | 6 „ |
| 7. 1847 წ. ლონდონში გამართულ კრებაზედ ენგელსის სიტყვიდან. | 8 „ |

ეს დაახლოვებითი სურათია. შედგენილია ზერელე გადათვალიერებით. აგრეთვე შემცირებულია მრავალჯერ, რომ მოსაწყენი არ ყოფილიყო მკითხველისათვის. ვფიქრობთ სანიმუშოთ ამხ. სან-დონის ლიტერატურულ ღირსებისა ესეც კმარა.

ეხლა ვიკითხოთ, რომელ წყაროებს მიმართავს ამხ. სან-დონი თავისი შრომისათვის? ეს წყაროები მეტად „კომპენტენტურია“. იგი აიღებს „კომ. მანიფესტის“ ქარ. გამოცემას რიაზანოვის წინასიტყვაობით და უმატებს ორ-სამ წიგნს, შეავსებს თავის წყაროებს მარქს-ენგელსის კერძო წერილებით, დაგროვებს რამდენიმე ბროშურას (არ ივიწყებს გ. პლეხანოვის 16 გვერდიან ბროშურასაც) და შეუდგება „რევიზიას“. ახდენს არა მარტო სოციალ-ფედერალიზმის, არამედ მარქსიზმის „რევიზიასაც“. ცენტრალი საკითხი ნაციონალური პრობლემაა. ამხ. სან-დონს ესაჭიროება როგორმე ბევრი დასწეროს რომ განმეორებით, ე. ი. მექანიკით მაინც დასტოვოს შთაბეჭდილება, რაკი ლოლიკის იმედი არა აქვს. ამისთვის მას არ ყოფნის თავის თეორეტიული და ფაქტიური მასალები. მარქს-ენგელსი კი ნაციონალურ საკითხის შესახებ ცოტას სწერდნენ. ამიტომ სადაც კი შეიძლება ნახოს მარქსისტულ ნაწარმოებში ამხ. სან-დონმა წინადადება, რომელშიაც სიტყვა **ერი** მოიძებნება, უნდა იმეორეს ეს წინადადება დაუსრულებლივ გლახა ჭრიაშვილსავით. ამონაწერს ხან თავს მოაგლეჯს, ხან ბოლოს შეაკვეცს, ხან ერთ და იმავე ფელეტონში ერთ და იმავე ციტატას რამოდენიმეჯერ იმეორებს (იხ. „ტრიბუნა“ № 409). რა ჭქნას ამხ. სან-დონმა; შეუდგა მეტად დიდ შრომას, „რევიზიას“ ახდენს ორი სოციალ-პოლიტიკური დოქტრინისას და, ხუმრობა ხომ არ ჭგონიათ, როდაც უნდა სთქვას. თუ საკუთარი რამ ცოტა აქვს ჩვენს „რევიზორს“ პორტფელში, ბროშურებში ხომ შეიძლება იპოვოს რამდენიმე ფრაზა. აიღებს და იმეორებს. იგი არც ჭრიაშვილის ტიპია. ჭრიაშვილი თავის აზრებს დაუსრულებლად ღეჭავდა; ამხ. სან-დონი კი სხვის აზრებს და ამონაწერებს ღეჭავს დაუსრულებლად. ეს სხვათა შორის.

ვიდრე ამხ. სან-დონის ფელეტონებს არსებითად გავარჩევდე, საჭიროა მკითხველის ყურადღება შევაჩერო შემდეგ გარემოებაზედ. ამხ. სან-დონი თავის საპასუხო პირველ ფელეტონში (იხ. „ტრ.“ № 485) არსებითად ასცდა მის მიერ დასმულ საკითხს. „მარქს-ენგელსის თვალსაზრისის ინტერპრეტაციას ნაციონალური პრობლემის შესახებ და შემებრძოლა მე, როგორც ვითომ „ფანატიზმით დაავადმყოფებულს“ და „ძველი ფედერალისტების სათვალეებით“ მოსიარულეს. იგი გარკვეულად მიყენებს შემდეგ პრობლემას: „ამ წერილებში (ჩემს წერილებზედ არის ლაპარაკი. ს. ა.) თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ წინადადებას. ვერც ერთ ბწკარს, ვერც ერთ სიტყვას, რომელშიაც აღნიშნული იყოს მარქს-ენგელსის და მისი მიმდევრების, დღევანდელი კომუნისტების ეროვნული პროგრამის შესახებ („შესახებ“ აქ რა შუაშია“ ს. ა.) დადებითი მხარე“.

იგი დაასკვნის „მაგრამ ასეთი მსჯელობა აბსურდია თავის თავად და ყალბი კრიტიკული ანალიზის მიხედვითო“.

ამხ. სან—დონ, აბსურდი შეიძლება იყოს ის, რაც არის, რაც არ არის, ის არც აბსურდია და არც სიბრძნე. თუ მე ერი სიტყვაც არ მითქვამს, მაშასადამე არც აბსურდი მითქვამს. ხოლო რადგან თქვენ არაფერს აბსურდს ეძახით, ეს კი მართლაც დიდი აბსურდია.

ეხლა ვიკითხოთ: საჭირო იყო თუ არა მარქს-ენგელსისა და „დღევანდელი კომუნისტების“ ქებათა ქება. სრულიადაც არა. ჩვენთვის საკითხი ამ სიბრტყეზედ არ იდგა. ჩვენ ვამტკიცებდით იმ დებულებას, რომ მარქს-ენგელსისათვის ნაციონალური საკითხი იყო არა პრინციპის, არამედ ტაქტიკის საკითხი—ამისათვის სრულიად ზედმეტი ბალასტი იყო იმის აღნიშვნა, რომ ამა თუ იმ კონკრეტიულ პირობებში მარქს-ენგელსი მოითხოვდენ დამონებული ერების განთავისუფლებას. განა ნაციონალური საკითხის ტაქტიკის საკითხად დასახვის დროს არ შეიძლება დამონებული ერის განთავისუფლების მოთხოვნა? განა ეს უდრის მარქს-ენგელსის ეროვნული თვალსაზრისის „ოპტომ“ უარყოფას“, რასაც მე მაწერს ამხ. სან—დონი?

ამხ. სან—დონი მიკიეინებს, რომ ვითომც უარვყოფდე იმ აზრს, რომ რაიმე აზრი ქონდეს მარქს-ენგელს ნაციონალური საკითხის შესახებ.

ამხ. სან—დონო, როდესაც მოგახსენებდით, რომ მარქს-ენგელსისათვის ნაციონალური საკითხი ტაქტიკის საკითხია მეთქი, ეს იმას ნიშნავდა, რომ მათთვის ეს საკითხი არსებულა. რადგან, რომ არ არსებულიყო ხომ არ შეიძლებოდა ტაქტიკის საკითხად მიეჩნიათ. რაც არ არსებობს ის არაფრისათვის არ არსებობს ამხ. სან—დონო, ასეთი სიბრძნე ზურგიელიძესაც კი ესმოდა და ნუ თუ ეს ძნელი გასაგებია.

ამხ. სან—დონს სურს, როგორმე დაამტკიცოს, რომ მარქსი ეროვნულ საკითს არ უდგება ტაქტიკური თვალსაზრისით, ვინც ასე ფიქრობს დღეს, მისი აზრით ის უეჭველად „ძველი“ ფედერალისტია, ან პირდაპირ, რომ ვსთქვად მემარჯვენეა. ჩვენს „რევიზორს“ სადღაც გაუგონია, რომ არსებობს ერთგვარი დემაგოგიური ხრიკი. ეს ხრიკი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც პოლემიკაში მოწინააღმდეგეს ლოლიკითა და ფაქტებით ვერ გაუმკლავდები, უნდა გამოიყვანო, რომ მის აზრს იცავს, რომელიმე სახელგატეხილი პირი აწ მიმართულება. „რევიზორს“ ვერ შეუგნია, რომ ასეთი ხრიკის მოხმარების დროს საკუთარ ზურგზედ მაინც არ უნდა გვხვდებოდეს მისი შედეგები და ოთოთაანთ ქორის როლში არ უნდა გამოდიოდეს.

ამხ. სან-დონმა კარგად იცის, რომ პარტიის პირველ ყრილობაზე დრ. მთავარ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას კომინტერნის შესახებ სავსებით ეთანხმებოდა ამხ. სან-დონიც და მეც. ამას გარდა „ტრიბუნის“ მკითხველთათვის ზედმეტი უნდა იყოს ჩემი წერილებიდან ამონაწერების მოყვანა, სადაც ნაციონალურ საკითხს საერთოდ და კერძოდ საქართველოს პრობლემას კომინტერნის ხელმძღვანელობით წარმოებულ რევოლიუციის პროცეს უკავშირებდი. ასეთ წერილებს კარგად იცნობს ამხ. სან-დონი, როგორც „ტრიბუნის“ უახლოესი თანამშრომელი. ისიც კარგად მოეხსენება, რომ არა ერთხელ გამირჩევია რევოლიუციის თვალსაზრისით მოვლენები და არა ერთხელ მქონია ლაპარაკი ჩამორჩენილ ერებზედ, რომლის დამცველად მიმიჩნევია კომინტერნი.

ამხ. სან-დონი ყოველივე ამის შემდეგ მემარჯვენე ფედერალისტის სათვალეებზე ლაპარაკობს. მას მოჰყავს ამონაწერები ამხ. თ. ღლონტის, ეფ. საჩინოელის და სხვების წერილებიდან, რომელნიც ახასიათებენ ჩვენ დამოკიდებულებას კომინტერთან და მიპირდაპირებს მე. განა ეს მართებულია, ამხ. სან-დონო? თუ გაზეთის კომპლექტები ხელში აიღეთ და ამხ. თ. ღლონტისა და ეფ. საჩინოელის წერილებიდან ამოწერა დაიწყეთ, მათ გვერდით და მათთან ერთად არ არის ჩემი წერილები იმავე ხასიათით და იმავე მთავარი აზრით? რისთვის დაივიწყეთ ეს? რისთვის აიფარეთ თვალებზე ხელები, როდესაც ჩემ გვარს შეეჩეხეთ კომპლექტის ფურცლებზედ? განა ბევრი ძებნა იყო საჭირო? ყოველ ორ ნომრიდან ერთში მაინც იყო ჩემი წერილი იმ პერიოდში, საიდანაც თქვენ სხვა ამხანაგების ამონაწერები მოგყავთ. რად დაგჭირდათ მათი დამალვა?

ნუ თუ თქვენ, როგორც რედაქციის უახლოესმა თანამშრომელმა, რომელსაც ერთად გვიხდება მუშაობა, არ იცით, რომ დაახლოვებით 80 პროცენტი წერილებისა, რაც დაწერილა მემარჯვენე „ძველი“ ფედერალისტების წინააღმდეგ მე მეკუთვნის? განა არ იცით ყოველივე ეს?

თქვენ ყოველივე ეს იცით კარგად, მაგრამ...

ამხ. სან-დონი მწამებს, რომ ვითომც შეპყრობილი ვარ „სერვილიზმის გრძნობით“ წინაპართა წინაშე და არა მაქვს კრიტიკული ანალიზის უნარი.

რაც შეეხება უკანასკნელ დებულების „კრიტიკულ ანალიზს“, ამხ. სან-დონს უნდა მოვახსენო, რომ მე მართლაც ისე არ მესმის კრიტიკული ანალიზი, როგორც მას. ჩემთვის დაუშვებელია ისე-

ლი ფოკუსი. სხივები პირველად ხვრელის მოწინააღმდეგე ბურთის მხარეს ხვდებიან, აქედან კი ხდება ანარეკლი ბურთის მთელ შინაგან ზედაპირზე და გარეთ გასვლა აღარ შეუძლიათ. ბურთის ზედაპირი ანათობს არა წყალს, არამედ ოდნავ მდუღარე ზეთსა. ამ ზეთის ჭურჭელში იმყოფება ეს ბურთიც. მთელი აპარატი საათის მექანიზმის საშვალებით მზესთან ერთად მოძრაობს. სამწუხაროთ, ცნობები რენტაბელობის შესახებ არ არის გამოქვეყნებული.

**პროფ. კელერის ცდები „მოაზროვნე ცხოველებზე“.** მსოფლიო ომის წინ გერმანიაში სენსაციურ თემათ ითვლებოდა „ჭკუიანი ელბერფელდიული ცხენები“, „ჭკუიანი ძაღლი“, მონიგეიმის ძაღლი როლფი და სხ. მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ამ ექსპერიმენტიორებსაც კი არა აქვთ აზროვნება (ლოგიური მეხსიერება, მსჯელობა და დასკვნა), არამედ მხოლოდ მეხსიერების აქტები, რომლებიც ასოციაციაზე არიან დამყარებულნი. აღმოჩნდა, რომ ამ ცხენებსა და ძაღლებს ესაჭიროებათ ოპტიური ნიშნები, თავის დახრა ექსპერიმენტატორისა, მიდვრის კვადრატებათ დაყოფა და სხვა, რომ უპასუხონ მიცემულ კითხვებზე. ამ ჟამათ პროფ. კელერი კვლავ შეუდგა ცდებს შიმპანზეზე და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ადამიანის მსგავსი მაიმუნები გამოყოფილ უნდა იქნენ დანარჩენ ცხოველებიდან, როგორც „გონიერი სახე“.

ამასთან მის მიერ დასმულ იქმნა შემდეგი საინტერესო პრობლემა: ცხოველებს ენა მხოლოდ მაშინ აუდგმის, როდესაც მათ მოთხოვნილება აქვთ აზროვნა გაცვლისა, თუ პირიქით, ენის არ ქონება აძნელებს მათი აზროვნების განვითარებას? სად არის პირველადი ფაქტორი: აზროვნებაში თუ ენაში? ბელერის ცდები მეორე ვერსიას ადასტურებენ.

— **ჩრდილოეთ პოლიუსზე გადაფრენის ცდები.** ინგლისურ პრესაში მოთავსებულია მთელი რიგი დეპეშებისა იმის შესახებ, რომ ამუნდსენის ცდები ჩრდილოეთ პოლიუსზე გადაფრენისა უშედეგოთ დამთავრდა, რის გამოც მთელი ექსპედიცია უახლოეს დროში უკანვე დაბრუნდება ნორვეგიაში. ამუნდსენი ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაემგზავრა 1922 წლის ივნისში და თან წაიღო ორი ჰაეროპლანი ლორენის სისტემისა ცნობილი მფრინავით ომდალით. ჩრდილოეთ სადარაჯო პოსტ ბარროუსში მისვლის შემდეგ, მან წარსული წლის 28 ივლისს მიაღწია ესკიმოსის პატარა ქოხს, მაგრამ რადგან ყველგან სქელი თოვლი იდვა, ექსპედიცია იძულებული გახდა ზამთარი ამ ადგილს გაეტარებიათ, ხოლო გადაფრენა კი ჩრდილოეთ პოლიუსზე 1923 წლის ივნისისთვის იქნა გადადებული. ივნისის დასაწყისში ქრისტიანიიდან ადვენდის სრუტეში ბარბერგზე გაგზავნილ იქნა დამხმარე ექსპედიცია.

გემზე იმყოფებოდა სამი ჰიდროპლანი; დამხმარე ექსპედიციას ნორვეგიის მთავრობამ 30,000 ოქროს მანეთი შესწირა. გადაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსზე უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ჰაეროპლანმა უნდა გადაიხაროს შეუჩერებლივ 2000 ინგლისელ მილზე მეტი მანძილი

როგორც ცნობილია, დღემდე ვერც ერთმა მფრინავმა ვერ შესძლო მსგავსი გადაფრენის მოხდენა. სულ უკანასკნელ ცნობებით, გადაფრენის ჩაშლის მიზეზი ყოფილა ჰაეროპლანის გატეხა სასინჯაფრენის დროს. ამუნდსენი „შხუნა“ “ხოლმსით“ შეერთებულ შტატებში ბრუნდება.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

ხუთშაბათს, ივლისის 19, საღ. 7 საათზე, პარტიულ კლუბში დანიშნულია მეორე რაიონის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველია:

1. მოხსენება ტფ. ქალაქის კოეფერენციის შესახებ.
2. ახალ წევრთა მიღება.
3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

**რაიკომის მდივანი.**

ხუთშაბათს 19 ივლისს საღამოს 6 საათზედ ა/კ. ფინსახკომის შენობაში შესდგება გაფართოებული სხდომა ამავე კომისარიატის მემარ. სოციალ.-ფედერალ. ფრაქციისა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. **გ. ხოფერია** „რუსეთის კომუნისტურ პარტ. მე-12 ყრილობის დადგენილება ეროვნულ საკითხის შესახებ“.

დასწრება შეუძლია ყველას.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

ფრაქციის ბიურო.

# საუბარი გლეხთან

**ქლიავის და ჭანჭურის ჩირის დამზადება.**

ქლიავის და ჭანჭურის ჩირის დამზადება, უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე ვაშლი და მსხლის, რადგან ქლიავსა და ჭანჭურს უფრო მაგარი კანი აქვთ და გაშრობა დიდ დროს მოითხოვს.

**როგორი ნაყოფი იკრიფება გასახმობად.**

გასახმობად უნდა მოიკრიფოს სავსებით მწიფე ნაყოფი. ნაყოფის სიმწიფის გაგება ძალიან ადვილია, რადგან სიმწიფის დროს ხის ცოტათი დარხევით ნაყოფის უმრავლესობა ცვივა უყურნწოთ.

ნაყოფი ფრთხილად უნდა შეიკრიბოს და ჩაიყაროს ყუთებში დასამუშავებელ ადგილზე გადასატანათ.

ყუთებში ჩაყრილი ნაყოფი შეიძლება შეინახოს მხოლოდ ორი-სამი დღე. თუ ნაყოფის დამუშავება მოკრეფის დღესვე დაიწყება უკეთესია.

**შეკრებილ ნაყოფის გადარჩევა.**

როდესაც შეკრებილ ნაყოფს ყუთებით დასამუშავებელ ადგილზე მოიტანენ, საჭიროა მისი გაწმენდა და გადარჩევა. ის იწმინდება ფოთლისაგან, ყუნწისაგან და მკვახე ნაყოფისაგან.

მკვახე ნაყოფი ფასს უკარგავს ქლიავისა და ჭანჭურის ჩირს, რადგან გახმობის დროს მას კანი უსკდება და წვენი გამოდის. ასეთ ნაყოფიდან ჩირის მაგიერ კურკასა და კანს ვიღებთ.

ნაყოფის დაჩირვა შეიძლება კურკით, რადგან ზოგიერთ ჯიშზე მისი მოცილება ძალიან ძნელია. უკურკო ჩირი უმჯობესია. ამისათვის ხმარობენ კურკის ამომგდებ დანას.

**გაწმენდილ ნაყოფის დამუშავება.**

რადგან ქლიავსა და ჭანჭურს მკვრივი კანი აქვთ, რომელიც ხელს უშლის ნაყოფის გაშრობას, სანამ ხილს მზეზე გამოვიტანდეთ, იგი უნდა ჩაიდგას წყალში, რომელშიაც გახსნილია ტუტა.

ამ სითხის მოსამზადებლად იღებენ ერთნახევარ გირვანქა ტუტას და ათ ვედრო წყალს.

რადგან სითხე ნაყოფის რამოდენიმეჯერ ჩადებით ჭუჭყიანდება, ამისათვის სითხე უნდა გადაღვაროს, რომ ნაყოფი არ დასვაროს.

ტუტე აუცილებლად [illegible] ნაქონი საფთიაქო მაღაზიებში. [illegible] ბას დიდი მნიშვნელობა აქვს.

როდესაც წყლის ტუტე-ნარევი სითხე ადუღდება, ნაყოფი კალათებით იდგმება მასში ხუთი ან შვიდი წუთით, ამის შემდეგ ნაყოფი კალათით უნდა ამოიღოთ ნულა სითხიდან სანამ მისი ძრო სითხის ზედაპირზე არ იქნება. ამის შემდეგ კალათი ხელმეორედ კიდევ, ხუთი შვიდი წუთით იდება ადუღებულ ხსნილში.

ხსნილიდან ამოღებული ნაყოფი მოწითლო ფერისაა, რომელსაც ის შემდგომ თანდათანობით კარგავს.

ამ ხსნილში ნაყოფის ჩადებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მას კანი წვრილ-წვრილად შეაშრება, რომელიც ხელს უწყობს ნაყოფის ჩქარ აორთქლებას და გამოშრობას.

კალათის ცხელ წყლიდან ამოღების შემდეგ, იდება ცივ წყალში, სადაც ნაყოფი ირეცხება კიდეც.

გარეცხილი ნაყოფი ერთ რიგათ იწყობა ხონჩებზე და რჩება მზეზე ხუთი—შვიდი დღე ამის შემდეგ ხონჩებს აწყობენ თაროებზე, სანამ ნაყოფი კარგათ არ გამოშრება.

კარგად გამშრალი ნაყოფის კანი, თითის გვერდზე დაჭერით არ იწყებს მის სიმბილეზე აქეთ-იქით გადახრას და თითების დაჭერით წვენიც არ გამოსდის.

გამხმარი ნაყოფი ხონჩებიდან იყრება ყუთებში, სადაც ის რჩება არა ნაკლებ ორი კვირისა, ორი კვირის შემდეგ, თუ ნაყოფი კარგად გამომშრალია, მისი შენახვა მშრალ ადგილას უშიშრად შეიძლება.

გადაგზავნისათვის უმჯობესია ნაყოფი ჩაიყაროს ყუთებში, რომელშიაც ორმოცდა-ათ გირვანქაზე მეტი არ ეტევა.

(მიწის მუშა)

ლ.

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲬᲘᲗᲚᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲞᲐᲠᲐ ᲞᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲥᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲓ

ქართველი და სომეხი მცხოვრები ხალხი ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. დიდი ხანია სომხები და ქართველები საქართველოში ერთათ ვცხოვრობთ, ერთათ ბევრი მწუხარებაც გვინახავს და სიხარულიც. ხშირათ მტერთან ერთათ გვიბრძოლია ჩვენი სამშობლოს გულისთვის; ზხირათ სისხლიც გვიღვრია,

---

მხოლოდ **ტაქტიკის** საკითხი იგი უაღრესად **პროგრამის** საკითხიც არის“. (ხაზი ჩემია. ს. ა.)

როგორი არის პარტიის აზრი კომინტერნის ნაციონალური პოლიტიკის შესახებ? **„ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მე-3 ინტერნაციონალს ფედერაცია მიაჩნია გარდამავალ ფორმად ყველა ერების მშრომელთა სრული გაერთიანების შესაქმნელად, რაც მიუღებელია სოციალიზმ-ფედერალიზმისათვის“.** (იხ. „ტრ.“, № 68. ყრილობის რეზოლიუციები).

ამხ. სან-დონო პრინციპს და ტაქტიკას გარჩევა უნდა. სანამ „რევიზორის“ როლს ვიკისრებდეთ თერმინები მაინც უნდა გვესმოდეს. არ შეიძლება დაპირისპირება „პროგრამისა“ და „ტაქტიკის“. პროგრამა პრინციპებსაც შეიცავს და ტაქტიკასაც. რაც პრინციპის საკითხია—ის მიზნის საკითხია. რაც საშუალებაა მიზნისათვის, ის არ არის პრინციპი. კომინტერნისთვის ფედერაცია, როგორც ერთა ურთიერთობის ფორმა ჯერ-ჯერობით **საშუალებაა** სრული გაერთიანების. მაშასადამე ნაციონალური საკითხი, რომლის მოწესრიგების ფორმად არის ჯერ-ჯერობით ფედერაცია, კომინტერნისათვის არის ტაქტიკის საკითხი.

მაშასადამე პარტიის უმაღლესი ორგანოს, ყრილობის, დადგენილება სწყვეტს ჩვენს შორის ამ დავას. იგი გვეუბნება, რომ კომინტერნისათვის „ფედერაცია გარდამავალი ფორმაა ყველა ერების მშრომელთა სრული გაერთიანების“, მაშასადამე **საშუალებაა, ტაქტიკის საკითხია** და ამიტომ ეს თვალსაზრისი **„მიუღებელია სოციალ-ფედერალიზმისათვის“.** კამათი დასრულებულია. რასაც მე ვწერდი ის არის პირდაპირი აზრი პარტიის. საინტერესოა ამხ. სან-დონის ლოგიკაც. იგი ამბობს: კომინტერნისათვის ნაციონალური საკითხი პრინციპის საკითხიც არის და ტაქტიკისაც (მივიღოთ ეს დებულება ერთი წუთით და გავყვეთ). ამ საკითხის გადასაწყვეტად კომინტერნი აყენებს განსაზღვრულ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის კონსტრუქციას ფედერაციის სახით, ჩვენთვისაც ნაციონალური საკითხი პრინციპის საკითხიც არის და ტაქტიკისაც, ჩვენც ვაყენებთ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფედერალისტურ კონსტრუქციას. მაშასადამე გამოდის, რომ A=A. კომინტერნის ნაციონალური პოლიტიკა უდრის ჩვენს ნაციონალურ პოლიტიკას, თქვენ გინდოდათ „ნათესაური კავშირის პოვა“ კომინტერნთან, ხოლო მიდით კი იგივეობის აღიარებამდე. თქვენ შეგიძლიათ ატაროთ ასეთი „კრიტიკული აზროვნება“, მიიღოთ ყოველივე, მაგრამ მაინც საკუთარი პოლიტიკური რეზონიც წარმოადგინოთ. პარტიას კი ეს არ შეუძლია. ის იქ უერთდება მეორე პოლიტიკურ პარტიას, სადაც შესაერთებელი წერტილები არსებობს, ხოლო იქ იმიჯნება, სადაც განსხვავების სფეროა. თქვენ კი „რევიზორის“ პოლიტიკურ ფეზელით დასეირნობთ გაზეთის ფურცლებზე და ელემენტარ ცნებებს ივიწყებთ.

ყოველივე ზემოდ აღნიშნული ნათელს ხდის, რომ ამხ. სან-დონმა დაამახინჯა პარტიის ნაციონალური პოლიტიკა და ჩემი წერილების აზრი. პარტიის ყრილობამ, როგორც დავინახეთ არ გაიზიარა სავსებით კომინტერნის პლატფორმა ნაციონალურ საკითხში.

კომინტერნი დღეს ერთად ერთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც იცავს კოლონიალურ ერებს, როგორც მეტროპოლის კაპიტალიზმის დეგრადაციის ფაქტორებს. ეს აზრი სახელმძღვანელო იყო პარტიისთვის ყოველთვის და სახელმძღვანელოა დღესაც. კომინტერნი, რომ პრინციპიალურად იღებდეს ნაციონალურ საკითხს, ცხადია, ეს უკეთესი იქნებოდა, მაგრამ არსებულ პირობებში, არსებულ საერთაშორისო ძალთა კონცერტში ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც დღეს იცავს კოლონიალურ ერთა ინტერესებს არის კომინტერნი. ამდენათვე ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ კავშირში მასთან.

ჩვენ, როგორც ეროვნულ-სოციალისტურ პარტიას კარგად გვესმის, რომ საერთაშორისო მოძრაობის ხელმძღვანელობა საერთაშორისო მაშტაბით არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას შეუძლია. ამდენათვე ჩვენთვის მისაღებია ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც გვეთანხმება ბრძოლის მეთოდებში და მომენტის გაგებაში. თუ ეროვნულ-სოციალისტურმა პარტიამ არ მიიღო არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სავსებით არ სდგას მისი პროგრამის ნიადაგზე, იგი ვერასოდეს ვერ მიიღებს რაიმეს, რადგან არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია არ შეიძლება იღებდეს ყოველივეს სავსებით, რაც სურს მეორე პოლიტიკურ პარტიას. ამიტომ ჩვენ უკავშირდებით კომინტერს, როგორც თანამედროვე რევოლიუციის შტაბს. ხოლო რაც შეეხება იმ საკითხებს, რომელსაც ერთგვარად არ ვწყვეტთ, აქ ვმართავთ იდეურ ბრძოლას იმავე რევოლიუციის ინტერესების მიხედვით.

ეს განმარტებანი, დაკავშირებული პირადულ პოლიტიკურ ფიზიონომიასთან, თუ პარტიის აზრის გამორკვევასთან კომინტერნის მიმართ, საშუალებას მოგვცემს უკუვაგდოთ პოლემიკისთვის ხელის შემშლელი ბალასტი და საკითხის გარჩევას შეუდგეთ ობიექტიური საზომით.

გავყვეთ ჩვენს „რევიზორს“ ფეხ და ფეხ და მოვახდინოთ მისი „რევიზიის“ რევიზია.

**სერ. ამაღლობელი.**

---

ი კრიტიკული ანალიზი საკუთარი და მოწინააღმდეგე თეორიის, რომელიც რამდენიმე კერძო წერილის წაკითხვისა და ბროშურის გადაფურცვლისგან გამომდინარეობს. მე მესმის გადაფასება დოქტრინის, რომელსაც წინ უძღვის ხანგძლივი და სერიოზული ძიება. პოლიტიკურ პარტიაში მსოფლმხედველობის რევიზიის გატარებას სჭირდება მთელი ლიტერატურის შექმნა, დისპუტები, სპეციალური სხდომები, შემზადება ნიადაგის და აღზრდა მასის. თუ ეს დაცული არ არის, გამოვა სანდონისებური „რევიზია“. მძიმე ტვირთს მსუბუქად ნუ წარმოვიდგენთ. სოციალ-პოლიტიკური დოქტრინის რევიზია მეტად საპასუხისმგებლო საქმეა და სიფრთხილით უნდა მასთან მისვლა. თუ ჩვენ იმდენათ გავამარტივეთ ეს საკითხი, რომ ყოველი ახალი ბროშურის ან კერძო წერილის მოუნელებელი აზრები გადავიტანეთ გაზეთის ფურცლებზე, მაშინ აგვერევა ენა. ჩვენ პოლიტიკურ პარტიას ვერ მივცემთ გარკვეულ გეზს, დავშლით პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რადგან ყოველი პოლიტიკური პარტია აზრთა და შეხედულებათა მთლიანობაა.

ცხადია ეს არ ნიშნავს სერვილიზმის გრძნობის გამეფებას. არც ერთი ფეტიში არ არსებობს. თუ მიგვიღია განსაკუთრებული მსოფლმხედველობა, მიგვიღია არა ანაზდეულად და ზერელედ, არამედ მისი და მის მოწინააღმდეგეთა თეორიების შესწავლით და კრიტიკული შეფასებით. (თუ რამდენათ კრიტიკული აზროვნების მქონეა ამხ. სან-დონი ამას შემდეგ ფელეტონებში დავინახავთ.)

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ. ამხ. სან-დონი მართლაც, რომ სერვილიზმის გრძნობით არის შეპყრობილი.

როცა ამხ. სან-დონი ჩემს სერვილიზმზედ ლაპარაკობს, ამით ის აწარმოებს გალმა გადავების ტაქტიკას. ვინც გადაიკითხა, ან გადაიკითხავს მის წერილებს, იგი ადვილად დაინახავს, რომ იგი დიდათ შეპყრობილია სერვილიზმის გრძნობით, რა [illegible] უნდა არა ჩვენი წინაპრების მიმართ...

ამხ. სანდონი მე მისაყვედურებს: არც ერთი სტრიქონით და არც ერთი სიტყვით არ აღნიშნა მარქს-ენგელსის და კომუნისტების დადებითი მხარეები ნაც. საკითხშიო. იგი ამასვე სჩადის საკუთარი პარტიის თეორიის წინაშე. მე ზომად აღვნიშნე, რომ საკითხის გარჩევა არ საჭიროებდა მაშინ კომუნისტების დადებითი მხარეებზედ ლაპარაკს. ამხ. სან-დონი უეჭველად მოითხოვს ჩემგან ასეთ რასმეს, ხოლო თვით არც ერთი სტრიქონით, არც ერთი სიტყვით არ გვეუბნება, რომ ჩვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა „სწორად და საღად“. სჭრის ნაციონალურ საკითხს.

ამხ. სან-დონო! როდესაც პარტიის ორგანოში სწერთ, პარტიის პასუხისმგებელი ამხანაგი და სხვა სოც.-პოლიტიკური დოქტრინის შესახებ ქებათა-ქების კორიანტელს აყენებთ (თუ რამდენათ მართებულია ეს ქებათა-ქება ამას ქვემოდ გავარჩევთ), არ უნდა გავიწყდებოდეს საკუთარი მსოფლმხედველობა. თუ არ ვარგა თქვენი თეორია ხელი უნდა აიღოთ მასზე, ხოლო თუ იგი გამოსადეგია, უნდა დაიცოთ იგი და მისი თვალსაზრისით უნდა შეაფასოთ მოვლენები.

თქვენს ფელეტონების გადაკითხვისას ქართველი გლეხი ალბად ანდაზით უპასუხებდა „მამის სული დავიწყებია მამი-ნაცვლისას ოფიცებსო“.

ორიოდე სიტყვა ამხ. სან-დონის მეცნიერული ობიექტივობის შესახებ. იგი მისაყვედურებს კრიტიკული ანალიზი არა გაქვსო. თვით კი სრულიად დაკარგული აქვს კრიტიკული აზროვნების და ობიექტივობის უნარი, იგი უდგება მარქს-ენგელსის და კომპარტიის მიერ ნაციონალურ საკითხის გაგების გადმოცემას არა ობიექტიურად, არამედ წინასწარ გარკვეული მიზნით. ეს მიზანი შემდეგში მდგომარეობს „ეროვნულ საკითხში ნათესაური კავშირის გამოძებნას კომპარტიასთან მეტად დიდი ზნეობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ქონდა ჩვენი პარტიისა და ჩვენი ერისათვის“. ამას სწერს „კრიტიკული აზროვნების“ წარმომადგენელი, მას apriori-ათ აუღია „ნათესაური კავშირის“ გამოძებნა და ამ სამრეკლოდან ისე არახუნებს ზარებს, რომ აღარაფერი ესმის მოვლენათა და ფაქტთა ობიექტიური გარჩევის. არ არის საკვირველი, რომ „კრიტიკულად მოაზროვნე“ ამხ. სან-დონი ისეთ რასმეს ალაპარაკებს მარქსა და კომპარტიას, რაც მათ არასოდეს არ უთქვამთ. ასეთია „კრიტიკული მოაზროვნის“ ინტელექტუარული აპარატი.

ეხლა ვიკითხოთ რამდენათ სწორად გააშუქა ამხ. სან-დონმა ჩვენი პოლემიკის ძირითადი საკითხი. ამ ძირითად საკითხს წარმოადგენდა ის დებულება, რომ მარქსისა და ენგელსისათვის კერძოდ და მარქსისტებისათვის საერთოდ (რასაკვირველია კომუნისტებისათვისაც) ნაციონალური საკითხი ტაქტიკის საკითხია და თუ პრინციპის. მე ვამტკიცებდი, რომ ეს საკითხი მათთვის ტაქტიკის საკითხია და ვწერდი „ეროვნული საკითხი უნდა იყოს ან ტაქტიკის საკითხი, რომელსაც მაშინ მოვიხმართ, როცა გამოგვადგება და მაშინ უკუვაგდებთ, როცა საჭირო აღარ იქნება, ან და იგი უნდა იყოს პრინციპი რომელიც ყოველთვის უნდა მოვიხმაროთ რომელსაც ხელს ვერასოდეს ვერ გაუშვებთ. პირველი წესით საკითხის დაყენება არის მარქსისტული, მეორეთი სოც.-ფედერალისტური. ამხ. სანდონს სურს პირველიც დაიცოს და მეორეც, ამიტომ იგი ვერც ერთს იცავს და ვერც მეორეს“. (იხ. „ტრ.“ № 476.)

ამხ. სან-დონი გვეუბნება. „ამ ციტატაში რამდენი ბწკარია, იმდენი შემცდომა არის: ეროვნული საკითხი პრინციპის საკითხიც არის და ტაქტიკურ მხარეებსაც შეიცავს“, იგი განაგრძობს „ეროვნული საკითხი კომინტერნისათვის არ არის

ერთათ გვიტირნია, შხირათ ერთათ გვიმხიარულნია ყოველ.

ასეთ მეზობელ ქართველ და სომხებს ერთმანეთის მწერლობის ცოდნა კი არ გვქონდა, არ არც დღესა გვაქს, რაც არ შეეერება ჩვენს მეზობლობას, ერთად ცხოვრებას და მოქმედებას.

ეს ნაკლი ჩვენი საზოგადოებისა და მწერლობისა კარგათ შეიგნო ლაზარე ივანეს ძე კარაპეტიანმა, რომელიც გახლავსთ ერთგული მოქალაქე თავის ქვეყნისა და ერისა, ეს შეუდგა ისეთი შრომის გაწევას, რითაც იგი თავის შეძლებისდაგვარად ამ საყურადღებო ნაკლს შესაფერს სამსახურს გაუწევდა.

ორ ერს შუა, ქართველ და სომეხთ შორის, იგი დააფუძნებდა ერთმანეთის გაცნობას, ერთმანეთის სულიერად დაახლოვების პირობა, რის ფარხმალათაც უნდა გამხდარიყო ამ ორის ერის მწიგნობრობა და მათ საუკეთესო მწერალთა ნაწერების კითხვა, ერთმანეთის ცხოვრებას, ჭირ-ვარამის გაცნობა.

როგორცა ვსთქვით, ეს ჩვენი საერთო ვალი ლაზარე კარაპეტიანმა ადრიდგანვე შეიგნო, ვინაიდგან იგი ბუნებით კარგი ნიჭის პატრონი, მასთანვე მეტად სუფთა, წმინდა გრძნობის კაცია. მისი სული და გული ყოველთვის კაცის ცხოვრების ვაებისაკენ არის თანამგრძნობელი. ყოველი მისი სიტყვა კაცის ცხოვრების სიბრალულისკენ იყო მიმართული.

ეხლა ჩვენ მოვიყვანთ ამ პატიოსანი მშრომელი კაცის ცხოვრების ცნობებს. ეს ცნობები ცხადათ დაასაბუთებენ იმ გარემოებას, თუ ლაზარე ივანეს ძე როგორი იდეური კაცი არის თავის ახალ გზდობიდან. იგი იცავდა ტანჯულთა და ღარიბ-ღატაკთა ვაებით სავსე ცხოვრებას, ამის ერთი დიდი ღირსება ისიც გახლავს, რომ ამ მშრომელმა ერთანაირის თვალით იცის ყურება როგორც ქართველ ღარიბ-ღატაკ ცხოვრებაზე, ისევე სომხებზე, თათრებზე და სხვებზედაც.

ამისთვის ღარიბ ღატაკნი ყველა ერთი გახლავთ, და ყველა ესენი ერთს სიღატაკეს და უმეცრების მსხვერჩლს წარმოადგენს.

ლაზარე ივანეს ძე დაიბადა 1872 წ. ქრისტიშობის 25-ს ქალაქ ტფილისში (კუკიაში). ამის წინაპრები ძველად მეურნეობას და ხვნა-თესვას მიზდევდნენ. ძველად კუკია სოფლად იყო წოდებული და კუკიელებიც სულ ხვნა-თესვას და პურის მოყვანას მისდევდნენ.

ლაზარე კარაპეტიანი პირველად სწავლობდა კუკიის სომეხთა სამრეველო სკოლაში; ამის შემდეგ მოწაფეთ ემზადებოდა რეალურ სასწავლებელში შესასვლელად, მაგრამ მაშინ იქ შესვლა შეუძლო კაცის შვილისთვის ერთობ ძნელი საქმე იყო.

მაინც პატარა ლაზარე ივანეს ძეს წიგნების კითხვის ისეთი სიყვარული ჰქონდა, რომ იგი შევიდა სამსახურში იმ დროის კარგათ ცნობილ სახელოვან წიგნის მაღაზიაში, რონიც გახლდათ მაშინვე მეხთა მწიგნობარი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია გრიქუროვი.

ლაზარე ივანეს ძე ამ მაღაზიაში გაიზარდა, აქ დავაჟკაცდა, აქ მიიღო მან განათლება, კარგათ შეეჩვია წიგნების კითხვას, როგორც ქართული წიგნების კითხვას, ისევე სომხურის და რუსულისა. ამ საქმის მომზადებაში ლაზარე ივანეს ძეს, ზაქარია გრიქუროვიც დიდ ქომაგობას უწევდა, იგი ყველაფრით აქეზებდა მას.

ეს წიგნის მაღაზია გახდა ლაზარე ივანეს ძის სკოლად, აქ გაიშალა მისი გონება და გაიფურჩქნა მასში იდეურად მომზადების სიყვარული.

როგორც ტფილისში დაბადებული, ლაზარე კარგათ იცნობდა ტფილისის ღარიბ ღატაკთა ცხოვრების პირობებს. ამიტომაც ის დიდის ხალისით მიზდევდა ამ ღარიბ-ღატაკთა ცხოვრებისათვის რამე სამსახურის გაწევას.

ახალგაზრდა ლაზარე ივანეს ძეს აზრი ყოველთვის მის გარშემო ტრიალებდა. რომ იგი როგორმე გამხდარიყო სასარგებლო კაცი თავის ერისა და ქვეყნისათვის. და მან ამის შეგნებასაც მალე აართო ალღო, იგრძნო ის სახეირო გარემოება, რომ ქალაქ ტფილისში ცხოვრობს მრავალათ როგორც ქართველები, ისევე სომხები, ეს ხალხი ძველის დროიდან არიან ერთმანეთის მეზობლები, და მასთანვე ერთმანეთის მწერლობას კი სულ ვერ იცნობენ, ამიტომაც ლაზარე ივანეს ძეს გულში ჩაინერგა ამ ნაკლის გამოსასწორებელი შრომა.

ლაზარე ივანეს ძეს ამ აზრების წარმატებაში, ზაქარია გრიქუროვიც იღებდა მონაწილეობას და ესეც ამხნევებდა მას.

ნელ-ნელა ლაზარე ივანეს ძე კარგათ მიდიოდა წინ და ქართულსა და სომხურ მწერლობაშიაც კარგათ ემზადებოდა, წიგნების კითხვაში, მათ გაცნობაში მან თავისუფლად დაიწყო ამ ენებზე მწიგნობრობა, თარგმანი და წერა, როგორც ქართულს ენაზე, ისევე სომხურ ენაზედ, და მასთან თავის თარგმანების ცალკე წიგნებათაც ბეჭდით.

წინათ კი ლაზარე ივანეს ძე, ვიდრე ცალკე წიგნების ბეჭდას დაიწყებდა, ქართულ თარგმანებს ათავსებდა ქართულ სხვა და სხვა გაზეთებში და ჟურნალებში, მაგალითად გაზ. „ცნობის ფურცელში“ და სხვა.

ასევე სწერდა იგი სომხურ გაზეთებშიაც, რომელ ნაწერებსაც ეს მშრომელი სთარგმნიდა ქართულის ენიდან სომხურს ენაზე.

ამ გვარად, ლაზარე ივანეს ძემ თავის არჩეულ ასპარეზზე საკმარისად იმუშავა, საყურადღეობოა იმისი შრომა იმითაც, რომ ყოველ ამის ნაწერს სდევს ნათელი მიმართულება ცხოვრებაზე, რეალურად მზერა, ქართველ და სომეხთ ცხოვრებაში ისეთი წესების შეტანა და დამკვიდრება, რაც კი ამ ორ მეზობელ ხალხს განაკაცებს, მათ რიგიან ცხოვრების გზაზე დააყენებს, მასთან იგინი მომავალში ასცდებიან იმ შემცდარ გზით სიარულს, რითაც ამ ორის მეზობელის ერის წინაპრები დაშხამულნი იყვნენ.

მან ქართულს ენაზედ სთარგმნა და დაბეჭდა ცალკე წიგნებად:

1. აჰარონიანის — „მთებში“ მოთხრობა 1904 წელს.
2. ფაფაზიანის — „დაკარგული სიმართლე“ 1906 წელს.
3. აჰარონიანის — „დედები“ და „დამშეულთა სიმღერა“ 1906 წ.
4. აჰარონიანის — „სისხლის ხაში“ და „ყვავილი“ 1906 წ.
5. პეტროსიანის — „ლურჯი პერანგი“ და „დარაჯი“ 1907 წ.

გარდა მოთხრობებისა სთარგმნა აჰარონიანის „ცრემლთა ხეობა“. დაიბეჭდა მხოლოდ ერთი მოქმედება გაზეთ „ამირანში“ დანარჩენი ცენზორმა აღკრძალა, რადგანაც შინაარსი ეხება მონარქიულ წესებს.

1911 წელს სთარგმნა სამი პიესა შირვანზადეს „ნაზუსისთვის“ და „ევგინე“ და ფაფაზიანის „კლდე“. სამივე პიესა მოწონებული იქმნა ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის მიერ და წარმოდგენილი ქართულ თეატრში.

ქართულიდან გადათარგმნა და სომხურს ენაზედ დაბეჭდა შემდეგი წიგნები:

1. ნინოშვილის „განკარგულება“ 1903 წ.
2. ხუსკივაძეს „სასაფლაოზე“ 1904 წ,
3. დუტუ მეგრელის „უმანკო მსხვერპლი“ 1904 წ.
4. ყაზბეგის „ფათი“ 1904 წ.
5. ია ეკალაძეს „მთვარიან ღამეს“ 1904 წ.
6. ნინოშვილი „გოგია უიშვილი“ 1906 წ. (1905).
7. კლდიაშვილის „მრევლში“ 1906 წ.
8. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“ 1907 წ.

სხვაც ბევრი ნაწერები აქვს ქართულიდან სომხურად ნათარგმნი და დაბეჭდილი სხვა და სხვა გაზეთებში და ჟურნალებში.

როგორც თვით ლაზარე ივანეს ძე ამბობს ქართულს ენაზედ მას აქეზებდნენ თურმე შემდეგი მწერლები და მოღვაწენი ქართველთა, რომ ამას სომხურის ენიდან ეთარგმნა ქართულად სხვა და სხვა ნაწერები.

ესენი ყოფილან სომეხთა მოღვაწე და ქართული წიგნების გამომცემელი ზაქარია გრიქუროვი, ქართველნი სამსონ ფირცხალავა, იოსებ იმედაშვილი, ნიკო აღლაძე, ია ეკალაძე, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე მირიანიშვილი და პოეტი გრიშაშვილი.

თვით ლაზარე ივანეს ძე ამბობს, რომ 16 წლისამ თავი დავანებე სწავლას, 23 წელიწადი ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ვიმსახურე, 12 წელიწადი საკუთარი მაღაზია ჰქონდა.

ასეთი პატიოსანი კაცის შრომა ქართულ და სომხურ მწერლობაში დიდი სიმპატიით არის მორთული, ეს ღირსიც არის, რომ ასე გახდეს. ვინაიდან ლაზარე ივანეს ძის ყოველ ნაბიჯს და სტრიქონს აქვს მეტად ბრწყინვალე ხასიათი და მასწრაფებანი, ამისი მწერლობის იდეა როგორც საქართველოში, ისრე სომხურში ბრწყინავს დიდის პატიოსანის კაცთ მოყვარეობისა, თავისუფლებისა, თავისუფლების და დაჩაგრული ხალხის ცხოვრების ამაღლების და დაწინაურების — [illegible]

ამიტომ ჩვენს ზნეობრივ ვალს შეადგენს, რომ ჩვენმა საზოგადოებამაც ამ სიმპატიურს მშრომელს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ, გაიხსენონ ამისი სიმპატიური საქმენი.

ამდენი ხნის ნამუშაკევი მშრომელი დღეს დიდად დატვირთულია და გაჭირვებულ ცხოვრებას განიცდის, ეს გარემოებაც ვიქონიოთ სახეში და ამის საფუძვლად უფრო ხმა ამოვიღოთ და ქართველებმა და სომხებმა ერთის ძმურის კავშირით და ქომაგით უნდა დავაფასოთ ამ პირის ასეთი შრომა.

**ზ. ჭიჭინაძე.**

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს გაზეთში შემდეგ ჩემს განცხადებას:

1913 წლიდან მე ვმუშაობ საკოოპერაციო ასპარეზზედ. კოოპერატიული მოძრაობა მიმაჩნდა და მიმაჩნია ერთ ერთ საშუალებათ მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან და კოოპერატიულ მშენებლობა-განვითარებაში წინადაც და ეხლაც მრწამს მხოლოდ ის გზა, რომელზედაც ადგია კომუნისტური პარტია. კოოპერატიული მუშაობის გარდა არც ეხლა და არც წინად მე სხვა მუშაობა არ მაინტერესებდა. ამიტომ არც ფორმალურად და არც პრაკტიკულად არც ერთს პოლიტიკურ პარტიაში არ ვღებულობდი მონაწილეობას. მხოლოდ თანაუგრძნობდი და დღესაც თანაუგრძნობ სოფ.-ფედერ. პარტიას და ამ პარტიის გაყოფამდეც ვიზიარებდი მემარცხენეთა მიმდინარეობას.

**შ. გოგებაშვილი.**

---

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში (523) ბიბლიოგრაფიაში („ევროპის პირველი ცივილიზაცია“) შეპარული შემდეგი კორექტურული შეცდომები: სწერია: ქართულ ენაზე ერთი სისტემატიური ვრცელი კურსი. და სხვა. უნდა ჩაემატოს: **არ მოგვეპოება.** შემდეგ დაიმსხვრა მრავალი შექმნილი ტრადიცია. უნდ ჩაემატოს **მრავალ დროში შექმნილი** და სხ. დასასრულ წერილის ავტორად გამოცხადებული გ. თ—დი. უნდა იყოს **გ. თ—ლი.**


რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.



**ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ** უმუშევრობის წიგნაკი № 758 შრომის ბირჟიდან აღებული ევგენია ასათიანმა ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 436.


# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ

## 1 ივლისისათვის 1923 წ. (მილიონობით)

**ᲐᲥᲢᲘᲕᲘ** — გამგეობა ტფილისში, განყოფილებები: ბათომში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, სოხუმში და სიღნაღში. — **ᲞᲐᲡᲘᲕᲘ**

| რიგის №№ | სახელწოდება ანგარიშებისა | გამგეობაში | განყოფილებებში | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| 1 | კასსა | 5,670 | 31,469 | 37,139 |
| 2 | სახელმწიფო ანგარიში ხაზინაში | 40,434 | 299 | 40,733 |
| 3 | „ „ რუსეთის სახელმწ. ბანკში | 15,732 | — | 15,732 |
| 4 | ოქრო და ვერცხლი ბანკის კუთვნილი | 26,360 | — | 26,360 |
| 5 | საქონელი ბანკის კუთვნილი | 1,859 | 52,173 | 54,032 |
| 6 | უცხოეთის ვალიუტა ჩეკები და ტრატები | 138,407 | 80,281 | 218,688 |
| 7 | განაღდ. სავაჭრო ვალდ, და ვადიანი ქაღალდები | 231,872 | — | 231,872 |
| 8 | განაღდებული თამასუქები პორტფელში | 40,230 | 58,151 | 98,381 |
| 6 | „ „ გადაგზავნილი საინკასოთ | — | — | — |
| 10 | სპ.ეც სახელდ. ანგ. უზრუნველყოფილი თამასუქები | 10,272 | 1 | 10,273 |
| 11 | „ „ „ „ საქონლით | 90,127 | 12,342 | 102,469 |
| 12 | სესხი გაცემული საქონლის დაგირავებით | 66,203 | 56,627 | 122,830 |
| 13 | „ „ საქონლ. მიერ საბუთებ. | — | 13,544 | 13,544 |
| 14 | „ „ მთავრობის ანგარიშით | 86,650 | — | 86,650 |
| 15 | ნგარიში კორესპონდენტებთან. | 48,197 | — | 48,197 |
| 16 | „ მთავრობასთან | 3,419 | — | 3,419 |
| 17 | „ ხაზინებთან | 3,204 | — | 3,204 |
| 18 | „ გამგეობასთან | — | — | — |
| 19 | „ განყოფილებებთან | 124,112 | — | 124,112 |
| 20 | „ სავაჭრო განყოფილებასთან | 34,170 | — | 34,170 |
| 21 | „ იპოტეკურ განყოფილებებთან | — | 744 | 744 |
| 22 | „ ბანკების ლიკვიდაციებ. | 112 | — | 112 |
| 23 | აკკრედიტივები | — | — | — |
| 24 | მოწყობა და მომართვა | — | 206 | 206 |
| 25 | თამასუქების ქალაქ. და საღერბო მარკები | 2,193 | 158 | 2,351 |
| 26 | მიმდინარე ხარჯები | 43,369 | 44,698 | 88,067 |
| 27 | დასაბრუნებელი თანხები | 36,358 | 23,881 | 80,239 |
| | ჯამი | 1,068,950 | 374,604 | 1,443,554 |

| რიგის №№ | სახელწოდება ანგარიშებისა | გამგეობაში | განყოფილებებში | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი თანხა | 200,000 | — | 200,000 |
| 2 | საზრუნველსაყოფო თანხა | 356,682 | — | 356.682 |
| 3 | სათანადო თანხა | 5,000 | — | 5,000 |
| 4 | მთავრობის თანხები | 86,650 | — | 86,650 |
| 5 | სახელდახელო ანგარიშები | 99,187 | 23,104 | 121,291 |
| 6 | ანგარიში გამგეობასთან | — | 124,112 | 124,112 |
| 7 | „ ბანკების ლიკვიდაცია | — | 1,443 | 1,443 |
| 8 | „ იპოტეკური განყოფილება | 9,349 | 40 | 9,389 |
| 9 | „ სავაჭრო „ | — | 42,444 | 42,445 |
| 10 | გადაუხდელი გადმოგზავნილი ფული | 234 | 1,047 | 1,281 |
| 11 | გარდამავალი თანხები | 180,298 | 9,175 | 189,473 |
| 12 | სარგებელი ოპერაციებისა | 112,544 | 76,262 | 188,806 |
| 13 | ანგარიში მოგების და ზარალის | 19,006 | — | 19,006 |
| 14 | გაუტარებელი ტრიალი განყოფილების ანგარიში | — | 96,977 | 96,977 |
| | ჯამი | 1,068,950 | 374,604 | 1,443,554 |

ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკის გამგეობა


ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 462 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4.